საქართველო

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 74/20

„20" 11 2013

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

გამგებელს

ბატონ გოგა გულორდავას

ბატონო გოგა,

გიგზავნით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობის აუდიტის 2013 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებულ №45/00 ანგარიშს.

**დანართი:** 19 ფურცელი.

პატივისცემით,

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი ზურაბ ბუცხრიკიძე

საქართველო.
წალენჯიხის
მუნიციპალიტეტის
გამგეობა
შემოს. № 1776
„21" XI „13"

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

*ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების*
*ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის*
*უფროსი*
*ბურაგ ბუცხრიკიძე*

„20"_____11_____" *2013 წელი*

ეგზ. № 1

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №45/00

2013 წელი

## სარჩევი


აუდიტის მიზანი ..... 3

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ..... 3

აუდიტორის პასუხისმგებლობა ..... 3

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა ..... 4

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი ..... 4

პირობითი მოსაზრების საფუძვლები ..... 6

ბიუჯეტის დაგეგმვა ..... 6

პრიორიტეტების დოკუმენტი ..... 6

ბიუჯეტის წარდგენა დასამტკიცებლად ..... 7

2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცება ..... 8

განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა ..... 12

ბიუჯეტის შესრულება ..... 13

ბიუჯეტის შემოსულობები ..... 15

შემოსავლები ..... 15

ბიუჯეტის გადასახდელები ..... 16

ხარჯები ..... 17

აუდიტის დასკვნა ..... 19

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი ..... 19

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები ..... 19

## აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება.

## აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ საბიუჯეტო პროცესის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რომლებსაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 14 ტერიტორიულ ერთეულს. მათ შორის, 2 ქალაქს, 1 სოფელს და 11 თემს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 64.7 ათას ჰა ტერიტორიას. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 46.3 ათასს, აქედან, 9.6 ათასი - იძულებით გადაადგილებული პირია[1]. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. წალენჯიხა.

თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტი აფინანსებს მის მიერ დაფუძნებულ რვა ა(ა)იპ-ს.

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის წარმართვის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტია, ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტები.

## ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი

თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად წალენჯიხის თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული, სკოლამდელი განათლების და სხვა ღონისძიებები.

[1] წყარო: www.mra.gov.ge

ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ტრანსფერებს და სხვა შემოსულობებს. მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს შემდეგ ტრანსფერებს:

- საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად – გათანაბრებით ტრანსფერს (ტრანსფერი საკუთარ შემოსულობას მიეკუთვნება);
- დელეგირებულ უფლებამოსილებათა დასაფინანსებლად – მიზნობრივ ტრანსფერს;
- ფინანსური დახმარების სახით – სპეციალურ ტრანსფერს.

დიაგრამა 1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებსა და ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსულობებს შორის თანაფარდობა

2013 წლის 6 თვის ფაქტიური შესრულება




საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის შემოსულობების 58% მიღებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა ტრანსფერის სახით.

ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ხოლო ბიუჯეტს ამტკიცებს საკრებულო. საბიუჯეტო პროცესის მონაწილეების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

## პირობითი მოსაზრების საფუძვლები

## ბიუჯეტის დაგეგმვა

### პრიორიტეტების დოკუმენტი

ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი იწყება პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებით. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო სტრატეგიის შესახებ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტს 2013 წლის პრიორიტეტებად განსაზღვრული აქვს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა, კულტურის, სპორტისა და დასვენების სფეროების განვითარება.

პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისთვის მუშაობა დაწყებულია საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 28 თებერვლის ბრძანებით[2], რითაც განისაზღვრა, თუ რა ინფორმაცია უნდა იყოს ასახული პრიორიტეტების დოკუმენტში და როდის უნდა მოხდეს მისი წარდგენა საკრებულოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. გამგეობას დაევალა დოკუმენტის მომზადება გუბერნატორის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით.

საკრებულოს პრიორიტეტების დოკუმენტი წარედგინა დასაგეგმი წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად. ორივე დოკუმენტი საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდა საკრებულოს ვებგვერდსა და ადგილობრივ გაზეთში. პრიორიტეტების დოკუმენტი დამტკიცდა 2012 წლის 28 დეკემბერს.

*გამოვლენილი გარემოება*

- *პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავება მოხდა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების მიხედვით. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად ადგილობრივი*

[2]საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება №1-067

*თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი აღმასრულებელ ორგანოს უნდა გამოეცა. აღნიშნული დოკუმენტი მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოგვიდგინა[3].*

- *პრიორიტეტების დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტებისა და მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, მასში არ არის გაწერილი პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები[4]. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის რთული იქნება შედეგების გაზომვა და იმის შეფასება, მიღწეულ იქნა თუ არა დასახული მიზნები.*

## ბიუჯეტის წარდგენა დასამტკიცებლად

2012 წლის 12 ივლისს, ფინანსთა სამინისტროდან თვითმმართველ ერთეულს ეცნობა 2013-2016 წლების ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები. საფინანსო ორგანომ გაიანგარიშა შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი, რათა დაეწყო ბიუჯეტის პროექტის შედგენა. მასვე უნდა დაეგზავნა საბიუჯეტო განაცხადის ფორმები საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის. გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნა ფინანსთა სამინისტროდან.

ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს წარედგინა დროულად.

*გამოვლენილი გარემოება*

- *მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ არ განხორციელებულა საბიუჯეტო განაცხადის ფორმების დაგზავნა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის,*

---

[3] საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 76, პუნქტი 3 - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

[4] საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 76, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „დ" - პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორებს.

*ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.*[5]

- *საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ბიუჯეტის პროექტი, საკრებულოს კომისიების შენიშვნებით, გამგეობას დაუბრუნდა 2012 წლის 26 ნოემბერს. საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ეს პროცედურა უნდა განხორციელებულიყო არა უგვიანეს 25 ნოემბრისა.*

## 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცება

საკრებულომ 2013 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2012 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით დაამტკიცა. დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, შემოსულობები განისაზღვრა 4058.5 ათასი ლარით, შემოსავლები – 3958.5 ათასი ლარით, გადასახადები – 1506.0 ათასი ლარით, გრანტები – 2251.4 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები – 201.1 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება – 100.0 ათასი ლარით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღებმა ტრანსფერმა დაგეგმილი შემოსულობების 55.5% შეადგინა.

დიაგრამა 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის შემოსულობები

2013 წლის გეგმა




[5] საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 77, პუნქტი 3.

ბიუჯეტის მიხედვით, გადასახდელები დაიგეგმა 4058.5 ათასი ლარით. აქედან, ხარჯების გეგმა გაუტოლდა 3732.1 ათას ლარს, არაფინანსური აქტივების ზრდა კი - 326,1 ათას ლარს. ბიუჯეტის ბალანსის ფორმის მიხედვით, არ იყო დაგეგმილი სახსრების მიმართვა ფინანსური აქტივებით ოპერაციისთვის და ვალდებულებების დასაფარად, თუმცა, გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია ითვალისწინებდა წინა წელს დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას. ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამაზე.

დიაგრამა 3. 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯები

(დამტკიცებული გეგმა)




***გამოვლენილი გარემოება***

*1. მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის ბიუჯეტით სუბსიდირების მუხლით დაიგეგმა ხარჯის გაწევა 1713.0 ათასი ლარის ოდენობით, აქედან, 3.0 ათასი ლარით დაიგეგმა ვეტერანთა საბჭოს დაფინანსება, ხოლო 1710.0 ათასი ლარი გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამებზე. ამასთან, საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის განკარგულებებით[6], დამტკიცდა ა(ა)იპ-ების ბიუჯეტები და საშტატო განრიგი. ბიუჯეტებს ხარჯთაღრიცხვის ფორმა აქვს და მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ 2013 წელს გასაწევი ხარჯების შესახებ, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით. დამტკიცებული დოკუმენტი არ მოიცავს:*

[6] №7, №8, №9, №10, №11, N12, №13, №14

- ასიგნებათა გაანგარიშებას პროგრამების მიხედვით, პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნებს, აღწერას;
- ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ;
- ინფორმაციას ა(ა)იპის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების სხვა წყაროების შესახებ (გარდა თვითმმართველობის ბიუჯეტისა), როგორიცაა, დონორების დაფინანსება, საკუთარი შემოსავლები, თანადაფინანსება და სხვ. საკუთარი შემოსავლების არსებობის შემთხვევაში - მის საპროგნოზო მაჩვენებელს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ:

1.1. ბიუჯეტში ჩაიდო და დამტკიცდა სუბსიდიის მაჩვენებელი ისე, რომ დადგენილი არ იყო ა(ა)იპ-ების საშტატო განრიგი, მათი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების სიდიდე.

1.2. 2013 წლის 29 იანვარს, საკრებულოს განკარგულებებით დამტკიცდა ა(ა)იპ-ების ბიუჯეტები, თუმცა, მთელი რიგი ინფორმაციის არქონის პირობებში, დაუდგენელია, როგორ შეაფასა საკრებულომ წარმოდგენილი ფინანსური გეგმები.

1.3. ბიუჯეტით სუბსიდიის მაჩვენებელი დაიგეგმა უფრო ნაკლები (1713.0 ათასი ლარი), ვიდრე საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული ა(ა)იპ-ების დაფინანსება (1749.4 ათასი ლარი). აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სუბსიდია დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის დაიგეგმა 420.0 ათასი ლარით, ხოლო საკრებულოს განკარგულებით შესაბამისი ღონისძიებების განმახორციელებელ ა(ა)იპ-ების დაფინანსება (ბიუჯეტი, ხელფასის ფონდი) დამტკიცდა 459.2 ათასი ლარის ოდენობით – 39.2 ათასი ლარით მეტი.

ცხრილი 1. საკრებულოს განკარგულებებით დამტკიცებული ა(ა)იპ-ების ბიუჯეტები

2013 წლის 29 იანვრი

| ა(ა)იპ-ის დასახელება | ხარჯების გეგმა (ათასი ლარი) |
|---|---|
| - სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი | 90.0 |
| - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | 80.0 |
| - კულტურის ცენტრი | 280.0 |
| - სკოლამდელი აღზრდის ცენტრი | 480.0 |
| - ქ.ჯვრის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური | 179.2 |
| - ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური | 280.0 |
| - სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი | 230.0 |
| - ფეხბურთის ცენტრი | 130.2 |
| სულ: | **1749.4** |

2. *2012 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, შრომის ანაზღაურების მუხლით დაიგეგმა ხარჯების გაწევა 1 199.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების მიხედვით, წლიური ხელფასის ფონდი 233,2 ათასი ლარით მეტია და შეადგენს 1432.2 ათას ლარს. 27 თებერვალს შრომის ანაზღაურების ხარჯი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გაიზარდა 1506.5 ათას ლარამდე ისე, რომ საანგარიშო პერიოდში არ შეცვლილა არც საშტატო განრიგი და არც ხელფასის განაკვეთები. ყოველივე ზემოთ თქმული მეტყველებს იმაზე, რომ არასწორად განისაზღვრა 2013 წელს ხელფასის სახით გასაწევი ხარჯის ოდენობა.*

3. *2013 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტს მთავრობის განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" გამოეყო 75.5 ათასი ლარი, რომელიც, განკარგულების დანართის შესაბამისად, უნდა გადანაწილებულიყო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვების დასაფინანსებლად. აღნიშნული ტრანსფერი სრულად აისახა ბიუჯეტში, როგორც საქონლისა და მომსახურების სახით გასაწევი*

*ხარჯი, მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო მომსახურება უნდა აისახოს არაფინანსური აქტივების ზრდაში.*

4. *2012 წელს შესრულებული 317.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები მუნიციპალიტეტმა ვერ აანაზღაურა დროულად, სახსრების უქონლობის გამო. ეს თანხა 2013 წლის ბიუჯეტის გეგმაში გადასახდელებში აისახა „წინა წლებში დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების" მუხლში. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული 317.0 ათასი ლარის დავალიანება დაიფარა ისე, რომ 2013 წლის ბიუჯეტის გეგმასა და შესრულებაში ვალდებულების ცვლილების მაჩვენებელი ნულის ტოლია.*

## განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა

2013 წლის პირველ ექვსი თვის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელდა ხუთი ცვლილება. ამასთან, სამ შემთხვევაში ბიუჯეტი დაზუსტდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის ასახვის მიზნით. მუნიციპალიტეტს სახსრები გამოეყო სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის მომსახურების შესასყიდად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" დასაფინანსებლად და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ. სულ, სამივე ცვლილების ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 1272.2 ათასი ლარი. დანარჩენ ორ შემთხვევაში ცვლილების მიზეზი იყო ქონების გადასახადში არსებული რეზერვების გათვალისწინებით შემოსულობების გაზრდა. ასევე ხორციელდებოდა სახსრების მუხლიდან მუხლში გადატანა.

ცხრილი 2. 2013 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები

(ათასი ლარი)

| | დამტკიცებული | 27.02.2013 | 28.03.2013 | 25.04.2013 | 23.05.2013 | 27.06.2013 |
|---|---|---|---|---|---|---|
| *შემოსულობები* | *4058.5* | *4360.0* | *4400.0* | *4475.5* | *4776.6* | *5637.2* |
| შემოსავლები | 3958.5 | 4180.0 | 4220.0 | 4295.5 | 4596.6 | 5457.2 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 100.0 | 180.0 | 180.0 | 180.0 | 180.0 | 180.0 |
| ფინანსური აქტივების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| *გადასახდელები* | *4058.5* | *4366* | *4406* | *4481.5* | *4782.6* | *5643.2* |
| ხარჯები | 3732.1 | 4098.4 | 4168.4 | 4243.9 | 4515.0 | 4515.0 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 326.4 | 267.6 | 237.6 | 237.6 | 267.6 | 1128.2 |
| ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| *ნაშთის ცვლილება* | *0.0* | *-6.0* | *-6.0* | *-6.0* | *-6.0* | *-6.0* |

## ბიუჯეტის შესრულება

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

ბიუჯეტის შესრულების საწყის ეტაპზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანომ მოამზადა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის განწერა, რომლის შესაბამისად, ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღეში, საკრებულოში წარადგენდა ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის

ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.

*გამოვლენილი გარემოება*

1. *აღმასრულებელი ორგანოს მიერ საკრებულოსთვის წარდგენილი ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ. დოკუმენტში არ არის ასახული აღნიშნული მაჩვენებლების ფაქტობრივი მოცულობების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან[7]. დოკუმენტი არ იძლევა ანალიზისა და შედარების საშუალებას, რამდენად შესრულდა მოცემულ პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებები.*
2. *იანვრის თვეში საკრებულოსთვის წარდგენილი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშით ირკვევა, რომ ზოგიერთი მუხლით ხარჯი გაწეულია ასიგნების ზევით. შესაბამისი ცვლილება ბიუჯეტში განხორციელდა მოგვიანებით, 2013 წლის 27 თებერვალს. შესაბამისი თანხა აღნიშნულ მუხლებში გადმოტანილ იქნა წინა წლებში დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფონდიდან[8].*

| კოდი | დასახელება | წლიური გეგმა | იანვრის თვის ფაქტ. (ათასი ლარი) |
|---|---|---|---|
| 01.05 | ქ.წალენჯიხის ცენტრის რეკონსტრუქციისა და სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება | 0 | 2.4 |
| 03.08 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 0 | 150.0 |
| 05.04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 5.0 | 16.3 |

[7] საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 85.
[8] ორგანიზაციული კოდი - 03 09.

## ბიუჯეტის შემოსულობები

ბიუჯეტის შემოსულობამ 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შეადგინა 3378.2 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლის 59,9%-ია.

ცხრილი 3. 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

(ათასი ლარი)

| დასახელება | დაზუსტებული გეგმა | ფაქტიური შესრულება (6 თვე) |
|---|---|---|
| შემოსულობები | 5637.2 | 3378.2 |
| შემოსავლები | 5457.2 | 3371.5 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 180.0 | 6.7 |

ბიუჯეტში მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 3371.5 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდამ – 6.7 ათასი ლარი.

## შემოსავლები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაზუსტებული შემოსულობის საპროგნოზო მაჩვენებლის 97% შემოსავლებია.

ცხრილი 4. 2013 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

(ათასი ლარი)

| დასახელება | დაზუსტებული გეგმა | ფაქტიური შესრულება (6 თვე) | პროცენტული შესრულება |
|---|---|---|---|
| შემოსავლები | 5457.2 | 3371.5 | 61,8% |
| გადასახადები | 1747.5 | 1332.4 | 76,2% |
| გრანტები | 3488.6 | 1967 | 56,4% |
| სხვა შემოსავლები | 221.1 | 72.1 | 32,6% |

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში შემოსავლების სახით მიღებულმა გადასახადებმა შეადგინა 1332.4 ათასი ლარი, გრანტები განისაზღვრა 1967.0 ათასი ლარით, ხოლო სხვა შემოსავლები - 72.1 ათასი ლარით. ბიუჯეტში მიღებული შემოსავლები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:

დიაგრამა 4. ბიუჯეტის შემოსავლები




გადასახადების სახით ბიუჯეტში მიღებული შემოსავლის 40%-ს ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს.

2013 წელს ბიუჯეტში მიღებული ტრანსფერების ოდენობამ 1967.0 ათასი ლარი შეადგინა. უდიდესი წილი უჭირავს გათანაბრებით ტრანსფერს – 1584.3 ათასი ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მისაღები ტრანსფერების საპროგნოზო მაჩვენებლის 76%-ია. 2013 წელს 1 ივლისის მდგომარეობით, დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, ბიუჯეტში მიღებულ იქნა 85.2 ათასი ლარის ოდენობის მიზნობრივი ტრანსფერი. ფონდებიდან სპეციალური ტრანსფერის სახით მისაღები შემოსავლის 1237.2 ათასი ლარიდან, უკვე მიღებულია 24% - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად.

სხვა შემოსავლებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 221.1 ათასი ლარია, საიდანაც 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ფაქტობრივად მიღებულმა თანხამ სულ, 72.1 ათასი ლარი შეადგინა.

## ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების სახით გახარჯულმა თანხამ საანგარიშო პერიოდისთვის შეადგინა 2914.0 ათასი ლარი, რაც შეადგენს გეგმის-51,6% -ს.

ცხრილი 5. 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

(ათასი ლარი)

| დასახელება | დაზუსტებული გეგმა | ფაქტიური შესრულება (6 თვე) |
|---|---|---|
| გადასახდელები | 5643.2 | 2914.0 |
| ხარჯები | 4515.0 | 2650.8 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 1128.2 | 263.2 |

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გაწეულმა გადასახდელებმა 2914.0 ათასი ლარი შეადგინა. არაფინანსური აქტივების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 1128.2 ათასი ლარია, საიდანაც 1 ივლისის მდგომარეობით ფაქტობრივი შესრულება 263.2 ათასი ლარით განისაზღვრა.

**ხარჯები**

სააუდიტო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა სულ შეადგინა 2650.8 ათასი ლარი, ხოლო 2013 წლისთვის ხარჯების გეგმური მაჩვენებელი 4515.0 ათასი ლარით განისაზღვრა. აღნიშნულით ხარჯების 58,7% უკვე გაწეულია.

ცხრილი 6. 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯები

( ათასი ლარი)

| დასახელება | დაზუსტებული გეგმა | ფაქტიური შესრულება (6 თვე) | პროცენტული შესრულება |
|---|---|---|---|
| ხარჯები | 4515.0 | 2650.8 | 58,7% |
| შრომის ანაზღაურება | 1506.5 | 791.0 | 52,5% |
| საქონელი და მომსახურება | 555.0 | 311.3 | 56,1% |
| პროცენტი | 7.0 | 4.3 | 61,4% |
| სუბსიდია | 1753 | 1000.9 | 57,1% |
| სოც უზრუნველყოფა | 322.3 | 203.2 | 63,0% |
| სხვა ხარჯები | 371.2 | 340.1 | 91,6% |

2013 წლის 6 თვის შესრულებით, ხარჯების ნაწილში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უჭირავს სუბსიდიასა და შრომის ანაზღაურებას და შესაბამისად შეადგინა 1000.9

და 791.0 ათასი ლარი, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის მუხლი - 4.3 ათასი ლარით.

სხვა ხარჯების დაგეგმილი მაჩვენებლის 91,6% უკვე გახარჯულია, რაც განპირობებულია სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის შედეგების სალიკვიდაციოდ მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯით.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, გადასახდელების ყველაზე დიდი წილი მოდის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე – 839.7 ათასი ლარი; დასვენება, კულტურა და რელიგია – 435.5 ათასი ლარი და ეკონომიკური საქმიანობა – 331.0 ათასი ლარი, რომელთა საპროგნოზო მაჩვენებლები 2013 წლისთვის, შესაბამისად, განისაზღვრა 1622.4, 751.2 და 1198.8 ათასი ლარით. ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა თავდაცვა – 93.0 ათასი ლარი.

*გამოვლენილი გარემოება*

1. *საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ წალენჯიხის მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 170.0 ათასი ლარი - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფის დასაფინანსებლად. აღნიშნული ტრანსფერი დაგეგმილია „საკუთარ შემოსავლებში", რაც მიუთითებს აღრიცხვის ნაკლოვანებებზე. „საბიუჯეტო კოდექსის" თანახმად, ფინანსური დახმარების სახით მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი განეკუთვნება მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსულობას[9]. არასწორად აისახა შესრულების მაჩვენებელიც, კერძოდ, ბიუჯეტის შესრულებაში ნაჩვენებია, რომ დელეგირებული უფლებამოსილებები დაფინანსდა საკუთარი შემოსავლებით 85.2 ათასი ლარის ოდენობით.*
2. *წალენჯიხის მუნიციპალიტეტს საკუთარი სახსრები განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშზე, საიდანაც ყოველწლიურად შემოსავლის სახით იღებს თანხაზე დარიცხულ პროცენტს. ხელშეკრულების მიხედვით, ბანკმა უნდა დააფინანსოს*

[9] საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 66, პუნქტი 2.

*სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტები მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება საბიუჯეტო კოდექსის უნივერსალობის პრინციპს, რომლის თანახმად, ბიუჯეტის ყველა შემოსულობა უნდა იქნეს მიმართული საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამავე კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად.*[1]

## აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების" საკითხების შესაძლო გავლენისა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

## აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

აუდიტორ–ასისტენტი:
თეა არველაძე თ. არველაძე ხელმოწერა 19.11.2013 თარიღი

აუდიტორ–ასისტენტი:
სოფიო ბელთაძე ს. ბელთაძე ხელმოწერა 19.11.2013 თარიღი

[1] საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ვ".